



**უსაფრთხო მოსმენის
მსოფლიო სტანდარტი
შეკრების ადგილებისა და
ღონისძიებებისთვის**



რა არის უსაფრთხო მოსმენა?

უსაფრთხო მოსმენა ისეთი ჩვევებისა და ქცევების ნაკრებია, რომელიც შესაძლებლობას გაძლევს დატკბე მუსიკით და თან, შეამცირო სმენის შეუქცევადი დაზიანების რისკი. უსაფრთხო მოსმენით სმენის დაზიანების პრევენცია შესაძლებელია!

რა არის შეკრების ადგილებსა და ღონისძიებებზე უსაფრთხო მოსმენის მსოფლიო სტანდარტი?

ჯანმომ შეიმუშავა მტკიცებულებაზე დაფუძნებული რეკომენდაციების ნაკრები სმენის დაზიანების რისკის შესამცირებლად ადამიანებში, რომლებიც სტუმრობენ გასართობ ადგილებსა და ღონისძიებებს.

ის შექმნილია ხმამაღალი ბგერებით გამოწვეული სმენის დაზიანების მზარდი რისკის საპასუხოდ.

სტანდარტი მოიცავს ექვს ასპექტს შეკრების ისეთი ადგილებისთვის, როგორებიცაა: ღამის კლუბები, დისკოთეკები, ბარები, კონცერტები და ფესტივალები.

რატომ არის მნიშვნელოვანი უსაფრთხო მოსმენა შეკრების ადგილებისა და ღონისძიებებისთვის?



ხმამაღალი ბგერებით გამოწვეული სმენის დაზიანება მუდმივია.

1,1 მილიარდი

ახალგაზრდა საფრთხის შემცველი მოსმენის გამო სმენის დაზიანების რისკის ქვეშაა.

40%

12-35 წლის ასაკის ადამიანებისა, მაღალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში, განიცდის დამაზიანებელი ინტენსივობის ხმის ზემოქმედებას გასართობ ადგილებში.

შეკრების ადგილებისა და ღონისძიებებისთვის უსაფრთხო მოსმენის სტანდარტის ექვსი ასპექტი

1. ხმის სიმაღლის შეზღუდვა

100 დბ უწყვეტი ბგერის ექვივალენტური დონის (L_{Aeq})^{*} მაქსიმალური ლიმიტი 15 წუთია, რათა ბგერა იყოს უსაფრთხო და სასიამოვნო მსმენელისთვის.



2. ბგერის დონის მონიტორინგი

ბგერის დონის მონიტორინგი და ჩანერა რეალურ დროში კალიბრირებული საბომი მონოცილობის გამოყენებით, განსაზღვრული პერსონალის მიერ.



3. შეკრების ადგილებზე აკუსტიკისა და ხმის სისტემების ოპტიმიზაცია

ხმის სისტემისა და შეკრების ადგილების აკუსტიკის ოპტიმიზაცია იმგვარად, რომ მოსმენა იყოს სასიამოვნო და უსაფრთხო ყველასთვის.



^{*} L_{Aeq} 15 წთ - დროით გასაშუალებული ბგერის დონე 15 წუთის განმავლობაში.

როგორ შეიძლება უსაფრთხო მოსმენის სტანდარტის გამოყენება შეკრების ადგილებისა და ღონისძიებებისთვის?

მთავრობებს

შეუძლიათ შექმნან კანონმდებლობა ან რეგულაციები და აკონტროლონ მათი აღსრულება, მოსმენისადმი ცნობიერების ამაღლების კამპანიების პარალელურად.

შეკრების ადგილების, ღონისძიებებისა და სამრეწველო ასოციაციების მფლობელებს/ მენეჯერებს

შეუძლიათ სტანდარტის მიღება და დანერგვა მოხალისეობრივ საწყისებზე.

სამუსიკო სასწავლებლებსა და აკუსტიკის ინჟინრებს

შეუძლიათ დანერგონ უსაფრთხო მოსმენის მოდული, რომელიც ფოკუსირებულია სტანდარტის საჭიროებაზე, გონივრულობაზე, სარგებელსა და ასპექტებზე.

რა არის შეკრების ადგილებისა და ღონისძიებებისთვის უსაფრთხო მოსმენის სტანდარტის განხორციელების სარგებელი?

მთავრობებს

სმენის დაზიანება არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მზარდი გლობალური პრობლემა მისი პრევენციით შესაძლებელია სმენის მოვლის ხარჯისა და საჭიროების შემცირება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და პროდუქტულობის გაზრდა.

შეკრების ადგილების, ღონისძიებებისა და სამრეწველო ასოციაციების მფლობელებს/ მენეჯერებს

ინდუსტრია, რომელიც დამოკიდებულია კლიენტის სმენით შესაძლებლობაზე, ფინანსური თვალსაზრისით, გონივრულია, პატივს სცემდეს მის სმენის ჯანმრთელობას და უქმნიდეს უსაფრთხო აკუსტიკურ გარემოს.

აკუსტიკოსები, ინჟინრები, მუსიკოსები, ღონისძიებების ორგანიზატორები და სხვები

ის შეამცირებს სმენის დაზიანების საფრთხეს როგორც მსმენელისთვის, ასევე მსგავს ადგილებსა და ღონისძიებებზე დასაქმებული კადრისთვის.

4. სმენის ინდივიდუალური დაცვის შესაძლებლობა

ყურის დამცავები და მათი გამოყენების ინსტრუქტაჟი მისაწვდომი უნდა იყოს მსმენელისთვის.



5. მშვიდი ზონ(ებ)ის უზრუნველყოფა

მშვიდი ზონები მსმენელს შესაძლებლობას აძლევს დაასვენოს ყურები და ამცირებს სმენის დაზიანების რისკს.



6. სწავლება და ინფორმაციის მიწოდება

პერსონალი და მსმენელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო მოსმენისთვის საჭირო პრაქტიკული ინფორმაციით.



რა შეგიძლია გააკეთო შეკრების ადგილებსა და ღონისძიებებზე უსაფრთხო მოსმენის პროპაგანდისთვის?

სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია გადამწყვეტი როლის შესრულება უსაფრთხო მოსმენის სტანდარტების მიმართ ცნობიერების ამაღლებისა და მისი განხორციელების ადვოკატირებისთვის მთავრობებთან, შეკრების ადგილებისა და ღონისძიებების მფლობელებთან/მენეჯერებთან და პერსონალთან.

მოუსმინე სიფრთხილით, რათა გესმოდეს მთელი ცხოვრება გახადე მოსმენა უსაფრთხო

Adapted from @World Health Organization,WHO/UCN/NCD/SDR 21.1
Translated by Aures Foundation. Georgia.
Member of the World Hearing Forum

